## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/101 „27" სექტემბერი 2024 წ.

# განკარგულება

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვ. ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა თანდართული დასაბუთებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 22 ივლისს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ვიოლეტა ფორჩხიძე არ იქნეს განწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე.
2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^3$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ განკარგულების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნინო ქადაგიძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

## ნინო ქადაგიძე

### თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის კენჭისყრისას მიღებული გადაწყვეტილების

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 20 პირი, მათ შორის - ვიოლეტა ფორჩხიძე.

კონკურსში მონაწილე კანდიდატის შესახებ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენის შედეგების შესაბამისად, ამავე ორგანული კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატი შევაფასე 87 ქულით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების შედეგად საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა 1265 ქულა (ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 90,36 %).

ვიოლეტა ფორჩხიძე ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ პერიოდში საქმეთა დიდი რაოდენობისა და დატვირთულობის გამო, აღნიშნულ სასამართლოში თითოეული მოსამართლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელ, ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელშეწყობისათვის შექმნილ ორგანოს, შესაბამისად, მოსამართლის სხვა სასამართლოში გადანიშვნის თუ დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ უნდა გაითვალისწინოს, რომ არ მოხდეს სასამართლოს ეფექტიანობის შემცირება, მოსამართლის გადანიშვნის ხარჯზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიღებ გადაწყვეტილებას, ამ ეტაპზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მხარი არ დავუჭირო ვიოლეტა ფორჩხიძის კანდიდატურას.

**ნინო ქადაგიძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

√

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვიოლეტა ფორჩხიძე.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის 17 სექტემბერს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის $34^2$ მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, კანდიდატის მიერ განხილული შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის შესწავლას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად კი მივიჩნიე, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვიოლეტა ფორჩხიძეს ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 91 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 91% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე

გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 2 კანდიდატი, მათ შორის, ვიოლეტა ფორჩხიძე.

კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული დატვირთულობით. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მივიჩნიე ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**



**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**
**ლევანი თევზაძე**

**27 სექტემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ვიოლეტა ფორჩხიძემ.**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი ინფორმაციის და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ვიოლეტა ფორჩხიძე, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 93 ქულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1265 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 90.36% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა - ვიოლეტა ფორჩხიძე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, სადაც ორი

კანდიდატი მონაწილეობდა, დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, ვიოლეტა ფორჩხიძემ დაიკავა მე-2 პოზიცია.

გასათვალისწინებელია, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. აღნიშნული სასამართლო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ყველაზე დიდ სასამართლოს წარმოადგენს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, საქმეთა დიდი რაოდენობისა და დატვირთულობის გამო, თითოეული მოსამართლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო". შესაბამისად, მოსამართლის სხვა სასამართლოში გადანიშვნის თუ დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს, რომ არ მოხდეს სასამართლოს ეფექტიანობის შემცირება, მოცემულ პერიოდში, მოსამართლის გადანიშვნის ხარჯზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მხარი არ დავუჭირე ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევანი თევზაძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესების საკითხზე უარის თქმის

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

27 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი

2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლისა და $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის ვიოლეტა ფორჩხიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - ვიოლეტა ფორჩხიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 91 ქულით (91%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2024 წლის 16 სექტემბრის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ვიოლეტა ფორჩხიძის შესახებ).

ამდენად, მართალია, ვიოლეტა ფორჩხიძე ჩემს მიერ როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა მაღალი შეფასებით, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციის და როლის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსაკუთრებული დატვირთულობისა და ამავდროულად, უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებული საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვიოლეტა ფორჩხიძის სააპელაციო სასამართლოში გადაყვანა ნეგატიურ გავლენას იქონიებს შესაბამისი სასამართლოს (კოლეგიის) ეფექტიანობის ხარისხზე, რის გამოც მხარი არ დავუჭირე კანდიდატის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ვიოლეტა ფორჩხიძე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობას, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, შევადგინე ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების დასაბუთება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას ვიოლეტა ფორჩხიძე შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მივიჩნიე, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ზურაბ ძლიერიშვილი შეფასებული მყავს 91 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 91% შეადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 2 კანდიდატი, მათ შორის, ვიოლეტა ფორჩხიძე.

მოძიებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე 2021 წლის ივნისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. მოგეხსენებათ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს სასამართლოს საერთო სასამართლოების სისტემაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რიგი ფაქტორების გამო, გამოირჩევა მიმართვიანობის საკმაოდ დიდი სტატისტიკური მაჩვენებლითა და გადატვირთულობით. შესაბამისად, სასამართლოს გადატვირთულობის ფონზე, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მისი განწესება.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ განწესებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება არ დავუჭირო მხარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 22 ივლისის N1/74 განკარგულებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მის მოსამართლედ განწესებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლში მითითებული კრიტერიუმების მახასიათებლებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, ვიოლეტა ფორჩხიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას - ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1265 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 90,36 პროცენტია.

მოძიებული ინფორმაციის, საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე სრულად აცნობიერებს სწრაფი, ობიექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობასა და მოსამართლის პასუხისმგებლობის სიმძიმეს.

თუმცა, ვითვალისწინებ რა სასამართლო სისტემის გამართული და შეუფერხებელი მუშაობისათვის ადამიანური რესურსის ოპტიმალური გადანაწილების აუცილებლობას და იმ გარემოებას, რომ საქმეთა ნაკადის სიჭარბის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია (სადაც კანდიდატი ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებას) მუშაობს დატვირთულ რეჟიმში, საჭიროა, რომ მოცემულ ეტაპზე ვიოლეტა ფორჩხიძემ სამოსამართლო უფლებამოსილების განახორციელოს იმავე სასამართლოში და არა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სამომავლოდ, ხსენებული გარემოების ცვლილებისა და კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში, მოსამართლე „საერთო სასამართლოების შესახებ" შესაძლებელია განწესდეს საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ.

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ერთ-ერთი უმთავრესი მიზნიდან, სასამართლო სისტემის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უარი ეთქვას ვიოლეტა ფორჩხიძეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლოს მოსამართლედ განწესებაზე.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევან მურუსიძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დიმიტრი გვრიტიშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 27 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში არსებულ 2 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატთან (ზურაბ მლიერიშვილი) ერთად, მონაწილეობა მიიღო **ვიოლეტა ფორჩხიძემ**. კონკურსი, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, ჩატარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 17 სექტემბერს, ,,კანონის" $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე ვიოლეტა ფორჩხიძე, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 90 ქულა, რაც ,,კანონის" $35^1$ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

3. ,,საბჭოს" 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა ორივე კანდიდატი: როგორც ,,საბჭოს" ყველა წევრის მიერ

განხორციელებული შეფასებების განზოგადებით შედგენილი, რეიტინგული სიით აღმოჩნდა, ზურაბ ძლიერიშვილმა დაიკავა 1-ლი ადგილი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით განზოგადებული ქულით (93.43%), ვიოლეტა ფორჩხიძემ კი - მე-2 ადგილი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით განხორციელებულ შეფასებებში მოპოვებული, განზოგადებული ქულით (90.36%).

4. შესაბამისად, „კანონის“ 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა ღია კენჭისყრა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად მხარი დავუჭირე ზურაბ ძლიერიშვილს (იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეა; მიმდინარე წლის ოქტომბერში ეწურება უფლებამოსილება და მისი შემცვლელიც საქართველოს პარლამენტს უკვე არჩეული ჰყავს).

5. რაც შეეხება ვიოლეტა ფორჩხიძეს, **მხარი არ დავუჭირე მის დანიშვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე**, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.1. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საბჭოს“ ერთ-ერთი კონსტიტუციური ფუნქციაა საერთო სასამართლოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამდენად, აუცილებელია - „საბჭომ“ მოსამართლეობის კანდიდატებთან მიმართებით, მათ შორის - მათი ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში გადანიშვნის (დაწინაურების) შემთხვევაშიც ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სასამართლოს მაქსიმალურ ეფექტიანობას. სხვა სიტყვებით, მაღალი კომპეტენციის და გამოცდილი მოსამართლის რომელიმე სასამართლოში გადანიშვნის (დაწინაურების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, „საბჭომ“ არ უნდა დაუშვას აღნიშნული სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდა იმ სასამართლოს ეფექტიანობის შესუსტების ხარჯზე, რომელშიც ეს მოსამართლე მანამდე ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას.

5.2. გავითვალისწინე რა თბილისის საქალაქო სასამართლოს (რომელიც, საქმეთა ნაკადის მართვის თვალსაზრისით, ყველაზე დატვირთული სასამართლოა საქართველოში) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს დატვირთვა და სპეციფიკა, მივიჩნიე, რომ ვიოლეტა ფორჩხიძის დანიშვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოშობს სწორედ ზემოთ, ამ დასაბუთების 5.1 პუნქტში მითითებულ რისკს თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის. ამგვარი რისკი მეორე კანდიდატის (ზურაბ ძლიერიშვილის) შემთხვევაში არ არსებობს, ამ დასაბუთების მე-4 პუნქტში მითითებული გარემოებების გამო.

დიმიტრი გვრიტიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის
№1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (18 ვაკანსიაზე).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდნენ სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირები, მათ შორის - **ვიოლეტა ფორჩხიძე**.

კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული საქმეების გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „გ“ წერის უნარი; „დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი; „ე“ პროფესიული თვისებები; „ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ზ“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ვიოლეტა ფორჩხიძეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 90 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მითითებული კანდიდატის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლედ განწესების საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს ეფექტიანობას. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხვადასხვა სასამართლოში საჭიროებისამებრ ნიშნავს მოსამართლეებს. კანდიდატი - ვიოლეტა ფორჩხიძე, ამ ეტაპზე მოსამართლის უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ახორციელებს. ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლო საქმეთა ნაკადის სიმრავლით გამოირჩევა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებას მხარი არ დავუჭირე.

**ვასილ მშვენიერაძე**

27 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თემურ გოგოხია

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ვიოლეტა ფორჩხიძემ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და $34^{1}$ მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მოთხოვნებს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს 1265 ქულას რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 1400 90,36 პროცენტია.

სასამართლო სისტემის გამართული, შეუფერხებელი მუშაობისა და დატვირთულობის თავიდან არიდების მიზნით, ადამიანური რესურსის სწორი გადანაწილების აუცილებლობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია, ამ ეტაპზე უარი ეთქვას ვიოლეტა ფორჩხიძეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ განწესებაზე.

2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც მხარი არ დაუჭირე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**თემურ გოგოხია**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გიორგი გზობავა

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**გიორგი გზობავა**

**„27“ სექტემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე **ვიოლეტა ფორჩხიძის** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების

**დასაბუთება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 27 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი არ დავუჭირე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე **ვიოლეტა ფორჩხიძის** დანიშვნას.

ჩემ მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის - **ვიოლეტა ფორჩხიძის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **ვიოლეტა ფორჩხიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **ვიოლეტა ფორჩხიძე** ჩემ მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **90 (90%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 17 სექტემბრის შეფასება)*.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე **ვიოლეტა ფორჩხიძის** განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ ამჟამად კანდიდატი **ვიოლეტა ფორჩხიძე** არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ყველაზე დატვირთული სასამართლოა საქართველოში. ვინაიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის ხარისხიან და ეფექტურ მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მივიჩნიეთ, რომ კანდიდატი **ვიოლეტა ფორჩხიძე** სრულად აკმაყოფილებს **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1265 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **90,36%**-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა სიმრავლის გათვალისწინებით, სადაც თითოეული მოსამართლის როლი მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე, მხარი არ დავუჭირე **ვიოლეტა ფორჩხიძის** თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ზენაშვილი

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
27.09.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვიოლეტა ფორჩხიძე.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 16 სექტემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ვიოლეტა ფორჩხიძე, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვიოლეტა ფორჩხიძეს ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 91 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 91%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სასამართლოს ეფექტიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხვადასხვა სასამართლოში საჭიროებისამებრ ნიშნავს მოსამართლეებს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე ამ ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ახორციელებს მართლმსაჯულებას. აქვე აღვნიშნავ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო არის ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული, საერთო სასამართლოების სისტემაში და გამოირჩევა საქმეთა ნაკადის სიმრავლით.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, მიზანშეწონილად მივიჩნიე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესება.

**ტრისტან ბენაშვილი**

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

**27 სექტემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაიწყო საქართველოს სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა - ვიოლეტა ფორჩხიძე.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე შევაფასე ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით, ასევე, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ვიოლეტა ფორჩხიძე ასევე შევაფასე ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 91 ქულა.

კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1265 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1400) 90,36 პროცენტია.

კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. საერთო სასამართლოების სისტემაში აღნიშნული სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე დატვირთულია, შესაბამისად, თითოეული მოსამართლის როლი აღნიშნულ სასამართლოში მნიშვნელოვანია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელ, ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელშეწყობისათვის შექმნილ ორგანოს, შესაბამისად, მან უნდა განსაზღვროს აღნიშნულ ეტაპზე სად უფრო საჭიროა კონკრეტული მოსამართლე, აქედან გამომდინარე, 2024 წლის 27 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი არ დავუჭირე ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ზურაბ გურასპაშვილი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გოგა კიკილაშვილი

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**არამოსამართლე წევრი გოგა კიკილაშვილი**

## თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში არსებულ 2 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატის - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, **ვიოლეტა ფორჩხიძის** შეფასება განხორციელდა მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატის საჯარო მოსმენის საფუძველზე, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შევაფასე 90 ქულით.

კონკურსში ასევე მონაწილეობდა მეორე კანდიდატი **ზურაბ ძლიერიშვილი**.[1] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე შედგენილი რეიტინგული სიის თანახმად, ზურაბ ძლიერიშვილმა კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით დააგროვა ქულათა 93.43%, ხოლო ვიოლეტა ფორჩხიძემ - 90.36%.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის №1/83 განკარგულების თანახმად, კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადავიდა ორივე კანდიდატი,

[1] ზურაბ ძლიერიშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეა და სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა ეწურება 2024 წლის ოქტომბერში.

ხოლო 2024 წლის 27 სექტემბერს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად მხარი დავუჭირე ზურაბ ძლიერიშვილის კანდიდატურას.

კენჭისყრის დროს კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძის **თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნას არ დავუჭირე მხარი რიგი გარემოებების გამო.**

**გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესად ვიხელმძღვანელე მართლმსაჯულების ინტერესებით და** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური ფუნქციებით.

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა და მნიშვნელოვანია, რომ მისი რეალიზაცია თანაბარწილად ხორციელდებოდეს ყველა ტერიტორიულ ერთეულსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში. ამგვარი ბალანსის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა რომ მოსამართლეების დანიშვნის/გადანიშვნის დროს ერთი სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდა არ მოხდეს მეორის ეფექტიანობის შემცირების ხარჯზე, რასაც გამოიწვევს მაღალ-კვალიფიციური მოსამართლეების გადანიშვნა ერთი სასამართლოდან მეორეში.

საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემების გაცნობის, აგრეთვე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის საქალაქო სასამართლოდან სხვა სასამართლოში გადანიშვნა შესაძლოა, მკვეთრად უარყოფითად აისახოს თბილისის საქალაქო სასამართლოში სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე.[2] შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმიანობა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია, რის გამოც მხარს არ ვუჭერ მის დანიშვნას თბილისის საქალაქო სასამართლოში. აქვე აღსანიშნავია, რომ მეორე კანდიდატთან მიმართებით ამგვარი რისკი არ არსებობს, ვინაიდან მას სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა ეწურება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

**გოგა კიკილაშვილი** 27 / 09 / 2024

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**არამოსამართლე წევრი**

[2] აღსანიშნავია, რომ კანდიდატ ვიოლეტა ფორჩხიძეს აქვს სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის 100 %-იანი მაჩვენებელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან ნემსაძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა 27.09.2024 |
| მოსამართლეობის კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე დაინიშნოს |
| 1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევან ნემსაძე**

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ ვიოლეტა ფორჩხიძის განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/74 განკარგულების საფუძველზე დაიწყო სააპელაციო სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს N1/81 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ვიოლეტა ფორჩხიძე.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) შესაბამისად, შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ვიოლეტა ფორჩხიძის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, კანდიდატის მიერ განხილული შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმის შესწავლას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზის შედეგად მივიჩნიე, რომ ვიოლეტა ფორჩხიძე ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ვიოლეტა ფორჩხიძეს ორგანული კანონის განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 19 სექტემბრის N1/83 განკარგულებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 2 კანდიდატი, მათ შორის, ვიოლეტა ფორჩხიძე.

კანდიდატი ვიოლეტა ფორჩხიძე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული დატვირთულობით. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კონსტიტუციის და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობას. მიმაჩნია, რომ მაღალი კომპეტენციის და გამოცდილი მოსამართლის რომელიმე სასამართლოში გადანიშვნის (დაწინაურების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, ,,საბჭომ" არ უნდა დაუშვას აღნიშნული სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდა იმ სასამართლოს ეფექტიანობის შესუსტების ხარჯზე, რომელშიც ეს მოსამართლე მანამდე ახორციელებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად მივიჩნიე ვიოლეტა ფორჩხიძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება.

**ლევან ნემსაძე**

**27.09. 2024**